სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 01-04/122 22.12 **2020 წელი**

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებად რიგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დროებით შეჩერების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №699 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №1127365 ბრძანების 1-ლი პუნქტით და 27 ნოემბრის №1131992 ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, უნივერსიტეტში განხორციელებად, ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შეჩერებასთან დაკავშირებით, ვბრძანებ:

1. შეჩერდეს სასწავლო პროცესი ქვემოთ ჩამოთვლილ, 2019 წლის საგაზაფხულო მიღების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **2020 წლის 21 დეკემბრიდან:**
   - ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება
   - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი განახლდეს 2021 წლის 1 თებერვლიდან.
3. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №699 დადგენილება და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 16 ნოემბრის №1127365 ბრძანება.

რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი: სერგო სვანაძე